

აკადემიური პერსონალის შესაძლო დემოტივაციის ფაქტორები  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში

მუხრან გულიაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე უმაღლესი განათლების  
ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების  
შესაბამისად განათლების ადმინისტრირება*

განათლების ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სოფო გორგოძე მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი, 2017

წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ ისეთ მასალას, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მუხრან გულიაშვილი

26/06/2017

## სარჩევი

აბსტრაქტი .....	1
შესავალი .....	5
აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებული რეფორმები ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში.....	6
საკვლევი პრობლემატიკა .....	8
კვლევის მიზანი .....	9
ლიტერტურის მიმოხილვა.....	10
მოტივაციის თეორიების მიმოხილვა.....	10
კვლევები აკადემიური პერსონალის მოტივაციის შესახებ.....	11
აკადემიური პერსონალის დემოტივაცია .....	12
საერთაშორისო კვლევები აკადემიური პერსონალის დემოტივაციაზე.....	13
კვლევის მეთოდები.....	18
თვისებრივი კვლევა.....	18
რაოდენობრივი კვლევა .....	18
კვლევის ეთიკა .....	19
თვისებრივი კვლევის შედეგები- ანალიზი.....	19
სტუდენტებთან დაკავშირებული დემოტივაციის ფაქტორები:.....	19
კოლეგებთან ურთიერთობა, მათთან გამოცდილებისა და აზრთა გაზიარების შესაძლებლობის არქონა, როგორც დემოტივაციის ფაქტორი. ....	23
დამოკიდებულება ადმინისტრაციის მხრიდან, როგორც დემოტივაციის ფაქტორი .....	25
რუტინა, როგორც დემოტივაციის ფაქტორი .....	27
პროფესიული გადაწყვეტა, როგორც დემოტივაციის ფაქტორი .....	27
რაოდენობრივი კვლევა.....	28
როგორია ყველაზე მნიშვნელოვანი დემოტივაციის ფაქტორი გარეგანი, თუ შინაგანი? .....	43
გენდერული ასპექტები კვლევაში .....	44
კვლევის შეზღუდვა.....	46

დასკვნა.....	47
რეკომენდაციები .....	49
ბიბლიოგრაფია .....	50
დანართი N 1 .....	52
რაოდენობრივი კვლევის შესავალი და კითხვარი.....	52

## აბსტრაქტი

მსოფლიო ბანკის 2013 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველოში უმაღლესი განათლების მთავარი გამოწვევა სწავლა- სწავლების ხარისხია.

ხარისხის განმსაზღვრელი მთავარი ფაქტორი ნებისმიერ უნივერსიტეტში გახლავთ აკადემიური პერსონალი, ამიტომ უმაღლესი სასწავლებლის ადმინისტრაციების მხრიდან ზრუნვის საგანს უნდა წარმოადგენდეს, არა მარტო კვალიფიციური კადრების მოზიდვა, არამედ უკვე არსებული საკადრო რესურსის მაქსიმალურად ეფექტურად გამოყენება.

ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს საკადრო რესურსის ეფექტურ გამოყენებას ეს არის მათი დემოტივაცია, რადგან დემოტივირებული კადრების პირობებში რთულია ხარისხიან აკადემიურ საქმიანობაზე საუბარი. იმის გამო, რომ არ არსებობს შესაბამისი კვლევები არ ვფლობთ ინფორმაციას თუ რა ფაქტორები განაპირობებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის დემოტივაციას.

მოცემული კვლევის მიზანი, სწორედ, დემოტივაციის ფაქტორების გამოვლენაა. კონკრეტულად საკვლევი კითხვები ასეთია:

რა ფაქტორები განაპირობებს აკადემიური პერსონალის დემოტივაციას? დემოტივაციის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორები, გარეგან მოტივაციას ეხება თუ შინაგან მოტივაციას?

არის, თუ არა განსხვავება დემოტივაციის ფაქტორებში გენდერული თვალსაზრისით?

კვლევა ჩატარდა შერეული მეთოდოლოგიით: თვისებრივი კვლევის ფარგლებში ავიღეთ პირისპირ ინტერვიუები 23 პროფესორთან, რაოდენობრივ კვლევაში კი მონაწილეობა მიიღო 80-მა პროფესორმა,

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის დემოტივაციას, განაპირობებს შემდეგი ფაქტორები: სტუდენტებთან დაკავშირებული ფაქტორები (დაუინტერესებელი სტუდენტი,

მოუმზადებელი სტუდენტი), ადმინისტრაციის დამოკიდებულება: პროფესორებისთვის უპირატესობის მინიჭება პიროვნული ურთიერთობებიდან გამომდინარე, არა დამსახურების მიხედვით, ადმინისტრაციის ჩარევა პროფესორების მიერ სტუდენტების შეფასების პროცესში, ადმინისტრაციის მხრიდან ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობის გაზრდა ლექტორის დაუკითხავად. მნიშვნელოვან დემოტივაციის ფაქტორად დასახელდა კოლეგებთან ურთიერთობის შესაძლებლობის არქონა. დემოტივაციის ფაქტორდებად ასევე დასახელდა სამსახურობრვი რუტინა, ყველაზე უმნიშვნელო ფაქტორებად სასწავლო რესურსების სიმწირე და უნივერსიტეტის ფიზიკური გარემო იქნა დასახელებული.

რაოდენობრივი კვლევის შედეგად, დემოტივაციის ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად აკადემიური პერსონალის 27,5% მიერ დაუინტერესებელი, თავად დემოტივირებული სტუდენტი დასახელდა. აკადემიურ ლიტერატურაზე დარყდნობით ვასკვნიტ, რომ ეს შინაგანი დემოტივაციის ფაქტორია.

რაოდენობრივ კვლევაში მონაწილე აკადემიური პერსონალის 65%-ს მდედრობითი, ხოლო 35% მამრობით სქესი შეადგენდა. ცალ-ცაკლე იქნა გაანლიზებული მამაკაცების და ქალების მიერ დაფიქსირებული პასუხი დემოტივაციის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით, აღმოჩნდა, რომ მამაკაცების 28,7%-თვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი დაუინტერესებელი სტუდენტია. ხოლო იგივე ფაქტორი ქალების 28,8% ყველაზე მნიშვნელოვანი დემოტივატორი. როგორც ვხედავთ, ამ კუთხით, მამაკაც და ქალ პროფესორებს შორის განსხვავება ფაქტიურად არ არის.

კვლევა დაეხმარება უნივერსიტეტის ადმინისტრაციას სწორი მიმართულება მისცეს შემდგომ რეფორმებს და გაამახვილოს ყურადღება ისეთ საკითხებზე, რასაც შესაძლოა მანამდე არ განიხილავდა პრობლემად.

**საკვანძო სიტყვები:** აკადემიური პერსონალის დემოტივაციის ფაქტორები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, დემოტივირებული სტუდენტი, გენდერული ასპექტები.

## Abstract

According to the World Bank the main challenge of higher education system in Georgia is the quality of education.

The main determinant of education quality in any university is its academic personnel, so the administrations of universities should take care not only attracting new professionals, but to use the maximum potential of exiting professors.

The main issue which deteriorates effectiveness of academic staff is demotivation, as qualitative academic pursuit is difficult to carry among demotivated staff. Since there no relevant studies, we don't have information as to what kinds of factors determine demotivation among academic personnel at Ilia State University. The purpose of this study is to identify these factors. Specifically, the questions of this research are:

What kinds of factors determine demotivation among academic personnel?

Are the most important factors of demotivation, external motivation or internal one?

Is there a difference through the demotivation in the gender perspective?

The research was carried out by mixed methodology: within the qualitative research we conducted face-to-face interview with 23 professors and 80 professors participated in quantitative research.

According to the research, it was established, that at the Ilia State University, the following factors determine academic personnel's demotivation:

The factors related to students (uninterested student, unprepared student), attitude from administration, interfere of administration into the student assessment process, increasing the amount of students in the group without lecturers' permission. The significant factor of demotivation was also cited the absence of possibility of interacting with colleagues. As well as factors of demotivation were also cited daily grind (working routine), The lowest marks for

demotivation factors were the lack of educational resources and physical environment of the university.

As a result of quantitative research by 27,5%, the most significant factor of demotivation, were named uninterested, demotivated students themselves. According to the academic literature, we conclude the internal factor.

65% of the academic personnel participating in the study were female, while 35% were male. The answers to the most important issue of demotivation were examined separately by women and by men, it was revealed that, for 28.7% of men the most significant factor of demotivation is uninterested student, whereas, 28.8% of women answered the same. As it is seen, in this regard, there are no differences in answers between men and women professors.

**Key words:** the factors of demotivation for academic personnel, demotivated student, gender aspects. Ilia State University